პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 185 (5994)

1977 წ. 20 სექტემბერი, სამშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## სსრ კავშირის ჩემპიონატი

### უმაღლესი ლიგა

გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

„ლოკომოტივი" — „ზენიტი" 3:0. ზენიტელთა კარში ბურთები გაიტანეს ოვჩინიკოვმა, კალაიჩევმა და გ. ნოდიამ.

„ტორპედო" — „კარპატი" 1:0.

„ქაირათი" — „ნეფთჩი" 1:0.

„დნეპრი" — „ჩერნომორეცი" 1:1.

„შახტიორი" — „ზარია" 2:2.

## ჰუშენ...

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — ადგილობრივი „დინამოსა" და ერევნის „არარატის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაში, რომელიც საინტერესოდ ჩატარდა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი ბურთი ერევნელთა, კარში 61-ე წუთზე გაიტანა ვ. ქორიძემ.

## მოსკოვის „დინამომაც" გაიმარჯვა

17 სექტემბერს ვალეტაში შედგა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩი მალტის „ლა ვალეტასა" და მოსკოვის „დინამოს" შორის.

მოსკოვის დინამოელებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 2:0.

## თამაშობენ ჩვენი მეტოქეები

საბჭოთა გუნდების მეტოქეებმა ევროპის საკლუბო ტურნირებში თავიანთი ქვეყნების ჩემპიონატების მორიგი კალენდარული შეხვედრები ჩაატარეს.

კიეველ ფეხბურთელთა მოწინააღმდეგემ ჩემპიონთა თასზე ბრაუნშვეიგის „აინტრაქტმა" (გფრ) თავის მინდორზე ანგარიშით 3:1 მოუგო „ბოხუმს" და ახლა V ადგილზე იმყოფება.

მოსკოვის ტორპედოელთა მეტოქემ თასების მფლობელთა თასზე — ლისაბონის „ბენფიკამ" სტუმრად დაამარცხა „გიმარაიში" — 1:0.

მილანის „ინტერნაციონალემ", რომელმაც უეფა-ს თასზე თბილისში განმეორებით უნდა ითამაშოს 28 სექტემბერს, იტალიის პირველობის მატჩი მოუგო „ვიჩენცას" — 2:1. ეს იყო სტუმრად.

## ჩემპიონთა თასზე

ბუქარესტში შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და მადრიდის „ატლეტიკოს" შორის.

დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს რუმინელმა ფეხბურთელებმა — 2:1.

## მეექვსე პარტიის ფინიში

ტალინი, 18 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ საღამოს მოეწყო შეხვედრა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძე — ე. ახმილოვსკაიას ნახევარფინალური მატჩის მეექვსე პარტიის დასამთავრებლად. ეს პარტია წინადღით გადაიდო რთულ, მაგრამ ახმილოვსკაიასთვის უფრო პერსპექტიულ პოზიციაში.

ა, როგორ დამთავრდა იგი:

ახმილოვსკაია



ჩიბურდანიძე

41. ლd3 (ჩაწერილი სვლა) 41. ... ლc7 42. ეg1 ლe7 43. g3 fg 44. ე:g3 ე:g3 45. ლ:g3 კf8 46. ლf3 ლh4 47. ლ:f7+ ეg7 48. ლh5 ლ:f2 49. ლf3 ლ:f3 50. კ:f3 კ:h3 51. მფh2 კg4 52. მფg3 კh5+ 53. მფf2 ეf7 54. ეd3 კg6 55. მფe2 კe7 56. კd2 კg5 57. კe1 მფg7 58. კg3 მფf6 59. ეd1 h5 60. ეh1 ეh7 61. ეg1 ეe7 62. ეh1 d3+ 63. მფd1 a4 64. კh4 კ:h4 65. ე:h4 ab 66. ab მფg5 67. ეh1 მფf4 68. კ:h5 კ:h5 69. ე:h5 მფ:e4 70. მფd2 მფd4 71. ეh8 ეg7 72. ეd8+ მფe4 73. ეd5 ეg2+ 74. მფc1 ეc2+ 75. მფb1 ეc3 76. მფb2 მფf4. თეთრები დანებდნენ.

თამაშის განახლებისას ქართველმა მოჭადრაკემ დაუყოვნებლივ წამოიწყო კონტრთამაში. გახსნილ პოზიციაში ახმილოვსკაიას ორივე კუმ სამოქმედო სარბიელი მიიღო. მისი ლაზიერი და ეტლი დაემუქრნენ თეთრ გვირგვინოსანს. მუქარა კიდევ უფრო სახიფათო გახდა, როცა ახმილოვსკაიამ პაიკი შესწირა.

მაგრამ მალე ჩიბურდანიძემ პაიკი უკან დააბრუნა. მეფის დარბევის მუქარის საწინააღმდეგოდ რომ ვერაფერი იღონა, თამაში პაიკის საფასურად ენდშპილში გადაიყვანა. მაგრამ შველა მაინც ვერ იგრძნო, თუმცა ფიგურები შესამჩნევად გაააქტიურა. კრასნოიარსკელმა დიდოსტატმა შეინარჩუნა მყარი უპირატესობა, რაც გამარჯვებას უქადდა.

შემდეგ თამაში გაგრძელდა ეტლების ენდშპილში, სადაც ახმილოვსკაიას აქტიურმა მეფემ და დაცულმა გამსვლელმა პაიკმა პარტიის ბედი გადაწყვიტეს. ზუსტი თამაშით ახმილოვსკაიამ მოამზადა გამსვლელი პაიკების წინსვლა. მათი შეჩერება შეუძლებელი იყო, ამიტომ ჩიბურდანიძემ თავი დამარცხებულად ცნო.

ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 3:3.

### პრეტენდენტთა ნახევარფინალური

## მეშვიდე პარტია

დღეს საღამოს გათამაშდა მატჩის მეშვიდე პარტია, რომელიც ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ გადაიდო.

**ახმილოვსკაია — ჩიბურდანიძე**

ინგლისური დასაწყისი

1. c4 g6 2. g3 კg7 3. კg2 c5 4. მc3 მc6 5. მf3 e6 6. 0—0 მge7 7. d3 0—0 8. კf4 d5 9. ლc1 b6 10. cd მ:d5 11. კh6 კb7 12. კ:g7 მფ:g7 13. ლd2 e5 14. ეab1 ლd7 15. a3 ეfe8 16. მg5 მ:c3 17. bc h6 18. მf3 ეad8 19. ლe3 მa5 20. მe1 კ:g2 21. მ:g2 c4 22. ეfd1 ლa4 23. ლc1 cd 24. ed მc6 25. მe3 ეd7 26. d4 ed 27. მg4 g5 28. cd ე:d4 29. ლc3 ლc4 30. ლ:c4 ე:c4 31. მe3 ეc5 32. ეd6 ეd8 33. ეbd1 ე:d6 34. ე:d6 h5 35. h3 მფf8 36. ეh6 მd4 37. ე:h5 ეc3 38. მფg2 მe6 39. a4 ეa3 40. მf5 მფe8. პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა ახმილოვსკაიამ.

ჩანს, სიცილიური დაცვიდან თეთრებით მიღებულმა პოზიციებმა ვერ დააკმაყოფილეს კრასნოიარსკელი მოჭადრაკე, ამიტომ მან ამჯერად ინგლისური დასაწყისის ნაირსახეობა გაითამაშა. მაგრამ უპირატესობას მაინც ვერ მიაღწია. ჩიბურდანიძემ ფიგურები ამ დაწყებისთვის დამახასიათებელი კლასიკური ქარგის მიხედვით განავითარა და უფრო პერსპექტიული პოზიცია მიიღო. 20. ... e4-ით აშკარა უპირატესობის მოპოვებაც შეეძლო.

ახმილოვსკაიას გაუჭირდებოდა მეტოქესთან გამკლავება, მოვლენებს რომ დაპყოლოდა, პასიური თამაში კი მას არ ახასიათებს. ამიტომ ახმილოვსკაიამ პაიკი შესწირა და ბრძოლა უშუალო, კონკრეტულ მუქარაზე ააგო. ჯერ შავ მეფეს დაემუქრა, მერე მისი ეტლი „დააბა", ენდპილში გადავიდა და h პაიკის მოგება განიზრახა.

პოზიცია დაიძაბა, მაგრამ ახმილოვსკაიას მუქარა მოუგერიებელი როდი იყო. მის ხორცშესხმას ჩიბურდანიძის ცაიტნოტმა შეუწყო ხელი. ნორჩმა მოჭადრაკემ სიჩქარეში ყველაფერს ალღო ვერ აუღო. ახმილოვსკაიამ მაქსიმალურად გამოიყენა თავისი ეტლისა და მხედრის საუკეთესო განლაგება და შეწირული პაიკი უკან დაიბრუნა.

პარტია გადაიდო თითქმის თანაბარ, მაგრამ, მწვავე მდგომარეობაში.

გუშინ პარტიის დაუმთავრებლად მეტოქენი ყაიმზე შათანხმდნენ. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 3:5-3,5.

მეორე პარტია გაიმართება 21 სექტემბერს.

ЕРВЕНСТВО МИРА ПО ШАХМАТАМ
СРЕДИ ЖЕНЩИН
ПОЛУФИНАЛ ПРЕТЕНДЕНТОК
GENS UNA SUMUS
АХМЫЛОВСКАЯ СССР
ЧИБУРДАНИДЗЕ СССР

სურათზე: მიმდინარეობს მორიგი პარტია.

საქინფორმის ფოტო.

## ჭადრაკი

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, ბელგიაში დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირი. მასში საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ.

პირველ ლიგაში გასვლის შესაძლებლობას ბოლომდე ინარჩუნებდა ენერგიულად მოთამაშე დიდოსტატი ბ. გურგენიძე, მაგრამ დასკვნით ტურში იგი დამარცხდა. გურგენიძემ შეჯიბრება 8 ქულით (13-დან) დაასრულა.

სხვებმა ტურნირი ასე დაამთავრეს: ოსტატები გ. ზაიჩიკი — 7,5, ე. უბილავა — 7, ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭარაშვილი — 3.

### ახალი მსოფლიო ჩემპიონი

ინსბრუკში (ავსტრია) დამთავრდა ჭაბუკთა (20 წლამდე) მსოფლიო პირველობა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა მოსკოველმა ა. იუსუფოვმა, რომელმაც ცამეტ შეხვედრაში 10,5 ქულა მოაგროვა. ვერცხლის მედალი ხვდა კოლუმბიელ ა. ზაპატას — 9,5, ბრინჯაოსი — იუგოსლაველ ბ. პოპოვიჩს (8,5).

### კასპაროვი ლიდერებს დაეწია

ჭაბუკთა (17 წლამდე) მსოფლიო პირველობის VIII ტურში საბჭოთა მოჭადრაკემ კასპაროვმა მოუგო ერთ-ერთ ლიდერს, ისლანდიელ არნასონს. ახლა კასპაროვს, არნასონსა და ამერიკელ უაიტხედს 6,5-6,5 ქულა აქვთ. პირველობას მასპინძლობს ქალაქი კანუ-სიურ-მერი( საფრანგეთი).

### სამნი ფინიშთან

სააგარაკო ქალაქ ალბენში (ბულგარეთი) დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ბრძოლა ისე დაძაბულად მიმდინარეობდა, რომ პირველი სამი ადგილი გაიყვეს დიდოსტატმა ვ. ცეშკოვსკიმ (სსრ კავშირი), საერთაშორისო ოსტატებმა ლ. პოპოვმა და ე. ერმენკოვმა (ორივე — ბულგარეთი) — 8,5-8,5.

## მეგობრულ არმიათა სპარტაკიადაზე

ჰავანა, (საკდესის კორ.). სტუმართმოყვარე კუბელები მეგობრულ არმიათა სპარტაკიადის მონაწილეებს მასპინძლობენ. ცხელა პედრო მარეროს სახელობის სტადიონზე, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებზე, რინგსა და საცურაო აუზშიც კი. ცხელა ყველგან, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. თერმომეტრი ტროპიკული კუნძულისთვისაც კი უჩვეულოდ მაღალ ტემპერატურას აჩვენებს — მთელი დღის განმავლობაში ვერცხლისწყლის სვეტი 30 გრადუსამდეც არ დაშვებულა.

მიუხედავად ამისა, საინტერესოდ და მაღალი ტემპით ჩატარდა ასპარეზობა 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. ფინიშთან პირველი იყო საბჭოთა არმიელი ბორის იაკოვლევი, რომელმაც უახლოეს მეტოქეს სამი წუთით გაუსწრო. გამარჯვებულის დროა — 1:31. 39,3.

დედაქალაქის სპორტის სასახლის რინგზე მიმდინარეობს მოკრივეთა ტურნირი, სადაც შესანიშნავად ასპარეზობენ კუბელი სპორტსმენები.

## ტელეტაიპის ლენტიდან

**ძალოსნობა.** შტუტგარტში (გფრ) გამართულ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატში ქვემსუბუქი წონის ათლეტთა შორის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, კემეროვოელმა ალექსანდრე ვორონინმა ყველა ოქროს მედალი მოიპოვა. მან ორჭიდის ჯამში დააგროვა 247, 5 ქულა (107,5+140), რაც 2,5 კილოგრამით აღემატება მიმდინარე წლის მარტში მის მიერვე დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

**კალათბურთი.** საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ლიეჟში (ბელგია) მიმდინარე ევროპის პირველობაში. ამჯერად მან ისრაელის ნაკრებს სძლია — 103:69.

**ხელბურთი.** ლვოვში მიმდინარე ხელბურთელ ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ლიდერობენ საბჭოთა გუნდები (პირველიც და ახალგაზრდულიც), რომლებსაც 3-3 მოგება აქვთ. პირველმა ნაკრებმა მესამე ტურში ჩეხოსლოვაკიის გუნდი დაამარცხა — 10:8, ხოლო ახალგაზრდებმა მსოფლიოს 1973 წლის ჩემპიონს, იუგოსლავიის ნაკრებს მოუგეს — 23:15. ტურნირში მონაწილეობენ, აგრეთვე, დანიისა და ნორვეგიის კოლექტივები.

**ფრენბურთი.** საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ იუნიორთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში. გადამწყვეტ მატჩში მათ მასპინძლებს — ბრაზილიის ნაკრებს სძლიეს — 3:1.

### რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

# უფლება? დიახ, მაგრამ მოვალეობა?

1803 წელი. ლონდონის ერთ-ერთი გარეუბანი. ინჟინერ ტრევტიკის ავტომობილს ყიჟინითა და გნიასით ადევნებული ბრბო. „ეშმაკის მანქანის" საჭეს თვით ტრევტიკი მართავს. მოსახვევში ამხედრებული ლორდის უცაბედი გამოჩენა, მანქანის უჩვეულო ხმით დამფრთხალი ცხენი და...

... სენსაცია პირველი... პირველმა ავტოავარიამ მსოფლიო შესძრა. „ფეხბედნიერ" მსხვერპლს ისტორიამ კარები ფართოდ გაუღო...

დღეს ამ უჩვეულო სამსხვერპლოზე ყოველწლიურად 280 ათასი ადამიანი დებს თავს.

არა, ჩვენ სრულიადაც არა ვართ ავტომობილის წინააღმდეგი. მაგრამ, არის კიდევ სხვა, ფარული და არანაკლებ საშიში „წყალობა", ვინემ ავტოსტრადებზე მომხდარი კატასტროფები. კარზეა სტუმართაგან ყველაზე საშიში სტუმარი — ჰიპოდინამია, რომლისთვისაც, სამწუხაროდ, ბევრი ეზო და სადარბაზო კარები ღიად დარჩა, მრავალი ჭერი — მისი საიმედო თავშესაფარი.

• • •

ჰიპოდინამია, ჰიპოკინეზია, ჰიპოსტატი, ჰიპოტონია, ჰიპოქსია... ტერმინები, კლინიკები რომ დაუტოვებია და დღეს ლამის ყველა ოჯახს, გამვლელ-გამომვლელს პირზე აკერია. და მაინც უმოძრაობისკენ ვისწრაფვით. უმანქანოდ ნაბიჯის გადადგმა აღარ გვსურს. ტაქსებს ბინაზე ვიძახებთ...

აი, საბურთალოს ქუჩის № 42-ის I და II კორპუსის მობინადრეთა სამყარო, მათი სარბიელი — ყოველდღიურად ოცდაცამეტი ავტომანქანის გამონაბოლქვით, ზეთისა თუ საწვავის სუნით გაჟღენთილი და დანისლული.

I კორპუსის ერთ-ერთი ბინის კარებთან ვდგავართ, გასაღების გადატრიალების ხმას ქალის მწყრალი, ნერვიული ხმა ჰფარავს: „გაჩერდით, სად გარბიხართ!"... ორი ბავშვი ფეხებში გაგვებლანდა. ვერც „გვამჩნევენ", კისრისტეხით გარბიან შორს, რაც შეიძლება შორს, ამ ულმობელი კარებისგან.

„შეჩერდით!"... მისდევს ქალი და კიბეებზე ძლივს იჭერს პატარებს.

ოთახში ქურდივით ვიმზირებით. კუთხეში ბავშვის სპორტული ფეხსაცმელები, გადაბრუნებული მანქანა და ობმოკიდებული ტყავის ბურთი გდია...

... „რა ფერისაა ბიჭიკო, ცა?"...

— კანარის ჩიტისთვის ცაც ისეთი ფერისაა, რა ფერის სახურავიც გალიას აქვს, — ჩურჩულებს დიოგენის კასრიდან იოქანანის გაბზარული და ამაზრზენი ხმა.

ქვევით კი, ეზოს, უფრო სწორად, სადღეღამისო ავტოსადგომის ბოლოში პოლიტიკაზე, ეპოქაზე, პლანეტის ხვალინდელობაზე მობაასე მამაკაცები სხედან. იქვე, სადარბაზო შესასვლელთან ზეთით მოსვრილ მიწაზე „გაზ-21" ისხამს ფრთებს". მის კორპუსზე მორიდებულად ვაკაკუნებთ. მოუწყობელი სალონიდან ავტომობილის მეპატრონე გადმოდის. ვეცნობით. ის კი მაშინვე შეტევაზე გადმოდის: „პროფილაქტორიუმები? ჰმ, იქ ხომ გძარცვამენ, გლიტავენ, გატყუებენ!... ან რატომ მივმართო პროფილაქტორიუმს, როცა უფლება მაქვს თვითონ ავაწყო საკუთარი ავტომანქანა?".

დიახ, კანონით ყველა მოქალაქეს ეძლევა უფლება ავტომანქანა თვითონ ააწყოს, მაგრამ, ეტყობა, გ. გედევანიშვილი ამ უფლებებში კარგად ვერ გარკვეულა. საცხოვრებელი ბინების ეზოებსა და სადარბაზო შესასვლელებთან პროფილაქტორიუმების გახსნის ნება არავის არა აქვს.

ავტომანქანების მფლობელებს რაიონის ხელმძღვანელობისთვის ერთხელაც არ მიუმართავთ ინდივიდუალური გარაჟებისთვის ადგილის გამოსაყოფად. ან რატომ შეიწუხონ თავი, როდესაც, ჯერ ერთი, სადგომად მშვენიერი ადგილი გამოუნახავთ და, მეორეც, ღმერთმა უწყის, სად, ქალაქის რომელ მხარეს გამოუყოფენ ავტოსადგომებს. არადა, მანქანა ყოველ წუთს სჭირდებათ. სამსახურს თავი რომ დავანებოთ, მეგობრები და ნათესავ-ნაცნობები როგორ მოინახულონ? დილით „სადღაც" ას მეტრში მდებარე მაღაზიიდან პური ხომ უნდა მოიტანონ? სკოლაში როგორ წაიყვანონ შვილები? ღმერთმა წყალობა ნუ მოაკლოს იმქვეყნად ინჟინერ ტრევტიკს, ოჯახისთვის მანქანა ძვირფასი რამაა.

— რკინას ელოლიავება, ოჯახს კი ფეხით დაატარებსო, — შეიძლება ასეც ფიქრობენ ჩვენი ადრესატები მათი მეზობლის რ. კიკნაძისა და მისი „გადაკარგული" მანქანის გახსენებაზე. ვეჭვობთ, ეს ასე იყოს. რ. კიკნაძე მანქანას კი არა, თავის ოჯახს, თავისი ბავშვების ჯანმრთელობას უფრთხილდება და კარგი იქნება, მას სხვებმაც მიჰბაძონ.

მანქანების რიგებში ჩაკარგულ, კაცობრიობის ბედზე მობაასე ადამიანებს არ ესმით, არც თერაპიის ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს — გედევანიშვილს ესმის, რომ მისი და მისი მსგავსი ადამიანების დაუდევრობაა ეს სიფერმკრთალე, ამ კორპუსის ბავშვებს რომ ატყვიათ. ის ობიც, ტყავის ბურთს რომ მოსდებია და ეს [illegible], [illegible] პროგრესმა ადამიანთა [illegible] [illegible] აუცილებლობა ლამის კანონად რომ დაგვიდო.

უმჯობესი იქნებოდა ამ ეზოში კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ლახტის წრეებისა თუ სხვა სათამაშო მოედნები მოეწყოთ, სადაც ბავშვები სკოლის მერხებისა და ჩახუთული ოთახების მოთენთილობას „დაიბერტყავენ".

— ეს ჩვენ ვკეტავთ ბავშვებს ოთახებში? — უკვირს კიდეც გ. გედევანიშვილს, — გავიდნენ, ითამაშონ. ვინ უშლით ხელს? მათ ხომ მშვენიერი სკვერი აქვთ? შეგიძლიათ თავადაც დარწმუნდეთ...

არა გვგონია სკვერის არსებობამ ამ ეზოში მანქანების ლაპლაპი გაამართლოს, თუმცა, ისიც ვნახოთ...

... მშვენიერი ტანაშოლტილი ფიჭვები, კენწეროებით ცას რომ ეთამაშებიან, მნახველში უეცრად ბორჯომის ან ბაკურიანის ტყის ასოციაციას იწვევს. შიგნით უზარმაზარი ლოდები, შენობათა ნანგრევები, ჭუჭყი, ორმოები... ფრთხილად თუ არ იარე, კისერს მოიტეხ. მოკლედ, რაღა თათქარიძის კარ-მიდამო და...

... „რა ფერისაა ბიჭიკო ცა?"

... კანარის ჩიტისთვის... მოგვდევს თავმოკვეთილი წინასწარმეტყველის ამაზრზენი ხმა.

გედევანიშვილმა კიდევ ერთი ჭანჭიკი მოარგო თავის „21"-ს, ამ ეზოს ოცდამეთოთხმეტე რკინის რაშს".

ა. გაგელაია.

# არასრული გუნდებით

დამთავრდა რუსთავის ზონის მშდის მრავალჭიდელთა პირველობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. მონაწილეობდნენ რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისისა და თიანეთის წარმომადგენლები. სამწუხაროდ, სრულიად დაუკომპლექტებელი გუნდის გამოყვანა ერთმა მათგანმაც ვერ შეძლო. წალკის, მარნეულისა და თეთრი წყაროს წარმომადგენლებმა კი საერთოდ თავი აარიდეს შეჯიბრებას. რაც შეეხება თვითონ შეჯიბრების შედეგებს, ისინი ერთობ უფერული იყო.

გუნდურ პირველობაში ყველას რუსთაველებმა აჯობეს — 657 ქულა. 276 ქულით მეორე იყო გარდაბნის, ხოლო მესამე — ბოლნისის გუნდი (37), სხვათა შორის, ეს 37 ქულა მხოლოდ ვ. მარგიანს ეკუთვნის.

• • •

**სურათებზე: III საფეხურის პროგრამით შეჯიბრებაში გამარჯვებული ე. დოდაშვილი; ს. საპოჟნიკოვი შეჯიბრების დროს. მან ყველას აჯობა V საფეხურის პროგრამით შეჯიბრებაში.**

რ. გაბრიჭიძის (ჩვენი სპეც. კორ.). ტექსტი და ფოტო.
რუსთავი.

# მხოლოდ სისტემატური მუშაობით

## „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა

**„განთიადის"** ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ამ დღეებში საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად განიხილა „განთიადის" ფიზკულტურული ორგანიზაციების საკითხი და აღნიშნა, რომ საზოგადოების ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1977 წლის გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესრულებისთვის.

იმატა ფიზკულტურელთა და საზოგადოების წევრთა საერთო რიცხვმა, საკმაოდ კარგი მდგომარეობაა მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმის შესრულებაში. დღეისთვის მომზადებულია 36 სპორტის ოსტატი (წლიური გეგმის 95 პროცენტი), 515 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, რაც 180-ით აღემატება წინა წლის ამავე პერიოდის მონაცემებს, 16044 მეორე, მესამე და მოზარდი თანრიგის სპორტსმენი (75-75 პროცენტი). სულ რესპუბლიკაში საზოგადოების ხაზით ექვსი თვის მანძილზე 17 ათასზე მეტი (70 პროცენტი) მშდ კომპლექსის ნიშნოსანი მომზადდა.

ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ „განთიადის" ზესტაფონის (თავმჯდომარე დ. ლავთაძე), ფოთის (რ. სარუმოვი), კასპის (ა. ქუთათელაძე), ჭიათურის (გ. პაპიძე), დუშეთის (გ. შერმადინი), სამტრედიის (ო. შარაშენიძე), ტყიბულის (ნ. ბოჭორიშვილი), ორჯონიკიძის (გ. გურგენიძე), საგარეჯოს (ბ. გრიქულოვი) და თბილისის რიგ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. მაგრამ, პრეზიდიუმმა ისიც აღნიშნა, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისა და, განსაკუთრებით, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მიმდინარე წლის გეგმის შესრულებაში „განთიადის" ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები.

საზოგადოების მთელი რიგი საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოებისა და ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის ტემპი არ შეესაბამება საზოგადოების VIII რესპუბლიკური კონფერენციის მიერ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების X ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლების ოთხ წელიწადში შესრულების ამოცანებს. საზოგადოების ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაციის მუშაობის დღევანდელი სტილი და ხარისხი ვერ უზრუნველყოფს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ფიზკულტურული ორგანიზაციების შემოწმებამ ცხადყო, რომ „განთიადის" აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, გორის, ზუგდიდის, ბოლნისის, თელავის, რუსთავის, მახარაძისა და სხვა რაიონულ ორგანიზაციებში სათანადოდ არ სრულდება მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმები.

„განთიადის" აფხაზეთის ორგანიზაციებში დღეისთვის ერთი სპორტის ოსტატიც არ მოუმზადებიათ (გეგმით გათვალისწინებულია სპორტის ოთხი ოსტატი, 135 პირველთანრიგოსანი და 2500-მდე მშდ კომპლექსის ნიშნოსანი). პირველი თანრიგი კი მხოლოდ 29 სპორტსმენს მიენიჭა. აქ 20 პროცენტამდე არის შესრულებული მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმა.

რუსთავში წელს 2565 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი უნდა აღზარდონ, ექვსი თვის მანძილზე მხოლოდ 450 კაცია მომზადებული, რაც მასობრივი თანრიგოსნის მომზადების გეგმის 30 პროცენტიც არ არის.

მახარაძის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ რვა პირველთანრიგოსანი და 550 მეორე, მესამე და მოზარდი თანრიგის სპორტსმენი, თუმცა ჯერჯერობით (ექვსი თვის მანძილზე) ერთი თანრიგოსანიც არ მოუმზადებიათ.

„განთიადის" თელავის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მშდ კომპლექსისა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმა ჯერ 25-30 პროცენტითაც კი არ შეუსრულებიათ.

ამ მხრივ, აგრეთვე, ჩამორჩებიან სიღნაღის, მცხეთის, ონის, მარნეულის და ცხაკაიას რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები.

„განთიადის" წყალტუბოს, ონის, ზუგდიდის რაიონულ და თბილისის მთელ რიგ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს არასახარბიელო მდგომარეობა აქვთ საზოგადოებრივ-ფიზკულტურული კადრების აღზრდის მხრივაც. „განთიადის" აფხაზეთის (ი. სანგულია), ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წლეულს გეგმით 1500-მდე სხვადასხვა პროფილის საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრი უნდა მოამზადონ. მათ კი ნახევარი წლის მანძილზე მხოლოდ 500-მდე კაცი მოუმზადებიათ. აჭარაში გეგმით გათვალისწინებული 924 კაცის ნაცვლად დღეისთვის 300-მდე საზოგადოებრივი მუშაკია მომზადებული, სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციებს კი ვალდებულება 30 პროცენტითაც ვერ გაუნაღდებიათ, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კადრები ხსენებულ ორგანიზაციებში და სხვა მრავალ კოლექტივში პრაქტიკულად ძალზე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

განსაკუთრებით ცუდი სურათია მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლისა და, კერძოდ, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა-განვითარების საქმეში. ამ მხრივ შეუწყნარებელი მდგომარეობაა „განთიადის" ტყიბულის, ბორჯომის, კასპის, ზუგდიდის, თელავისა და სხვა რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

ბორჯომში საწარმოო ტანვარჯიშში მხოლოდ 300 კაცი მეცადინეობს (ნაცვლად 1500 კაცისა), თელავში გეგმით გათვალისწინებულის 25 პროცენტიც კი არ ვარჯიშობს. კასპში საწარმოო ტანვარჯიშში 1200 კაცია ჩაბმული (ნაცვლად 2200 კაცისა). ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივშიც.

საზოგადოების წევრთა და ფიზკულტურელთა რაოდენობრივი ზრდის მიხედვით სავალალო მდგომარეობა აქვთ ორჯონიკიძის, მცხეთის, ახალციხის, მარნეულის, მახარაძის, გორისა და აფხაზეთის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. ამ რაიონების ფიზკულტურულ კოლექტივებს 6 თვის მანძილზე ერთი კაციც არ მიუღიათ საზოგადოების რიგებში.

ფიზკულტურულ ორგანიზაციათა ნაწილს ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია მუშაობაში არსებული ფორმალიზმი, ინერტულობა და უპასუხისმგებლობა. ცოცხალ ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას ზოგჯერ საჭიროროტო პრობლემების გადაჭრისადმი ზერელე მიდგომით ცვლიან. როგორც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების რეზოლუციაშია აღნიშნული, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები ცუდად უძღვებიან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თელავის ძაფსაღებ ფაბრიკაში (დირექტორი ბ. ჭავჭანიძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. სამადაშვილი), რომელშიც 1000-მდე მუშა-მოსამსახურეა, მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და მშრომელთა გამაჯანსაღებელი მუშაობა სრულიად ჩაშლილია? ამ საწარმოში არ არის შექმნილი სპორტული სექციები, სისტემატურად არ ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, არაფერი კეთდება გამაჯანსაღებელი მუშაობის კომპლექსით გათვალისწინებული ფორმების დასანერგად, საწარმოო ტანვარჯიში საერთოდ მივიწყებულია. არადამაკმაყოფილებლად ტარდება მშდ-ის ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადება. შემოწმებამ ცხადყო, რომ ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო ზემდგომ ორგანოებს აწვდიდა არაზუსტ ცნობებს, რომელსაც პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტი ამოწმებდა. ანგარიშებში ადგილი ჰქონდა თვალის ახვევისა და მიწერის ფაქტებს, რის გამოც „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ფიზკულტურის ინსტრუქტორი ზ. სირაძე.

„სპეცმშენტრესტში" (მმართველი გ. გოგელია), სადაც 1500-მდე კაცი მუშაობს, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სრულიად უგულებელყოფილია. სამი-ოთხი წლის მანძილზე აქ არ მომზადებულა ერთი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი და სპორტსმენ-თანრიგოსანიც კი. აღარაფერს ვამბობთ ფიზკულტურული მუშაობის სხვა უბნებზე. ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარების საკითხებზე ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ: ხაშურის სატრიკოტაჟო-საგალანტერიო ფაბრიკაში (დირექტორი კოსტავა, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ო. გოგიჩაიშვილი), ელექტროტექნიკის ინსტიტუტის თბილისის განყოფილებაში (კ. ლეკიშვილი, ე. ფანოზაშვილი), თელავის კომკავშირის სახელობის საქსოვ ფაბრიკაში (ლ. სვანაძე, თ. მაისურაძე), თბილისის ლითონ-კონსტრუქციების ქარხანაში (გ. მოისწრაფიშვილი, ტ. დოლაბერიძე), თბილისის ბამბეულის ფაბრიკაში (ჯ. ჟუჟუნაშვილი, ო. ჩარგეიშვილი) და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში.

საჭიროა ზემოჩამოთვლილმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ დასახონ პრაქტიკული, საქმიანი ღონისძიებანი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

პარტიული კომიტეტები ყველგან უნდა ეცადონ, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები მრეწველობის, საწარმოთა, მშენებლობათა, დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად სისტემატურად მუშაობდნენ სპორტულ ორგანიზაციათა საქმიანობის გაუმჯობესებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის.

როგორც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების რეზოლუციაშია ნათქვამი, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო ორგანიზაციებმა ფიზიკური კულტურა და სპორტი განსაკუთრებით ეფექტურად უნდა გამოიყენონ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიური პროგრამის გადაწყვეტის საქმეში.

ტ. კიკნაველიძე.

**„განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.**

შაში

# თქვენი სვლაა, მოშაშეებო!

●

დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსი

უკანასკნელ წლებში საქართველოში გახშირდა მოშაშეთა სხვადასხვა შეჯიბრებების გამართვა და მასპინძლობა, გაჩნდნენ სპორტის ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები, მაგრამ შაშს ჩვენში უფრო მეტი რიგითი მოყვარული ჰყავს. სწორედ მათთვის ვაცხადებთ კონკურსს, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმია მიძღვნილი.

კონკურსში ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამოსახსნელად გთავაზობთ ხუთ პოზიციას, რომლებიც ცნობილმა მოშაშეებმა შეთხზეს.

დაწესებულია ხუთი ჯილდო — საშაშო ლიტერატურა. გამარჯვებულად გამოცხადდებიან ის მონაწილენი, რომლებიც სრულ ამომწურავ პასუხებს გამოგზავნიან. კონკურსის შედეგებს შეაჯამებს მსაჯთა ჟიური თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის, შაშში სპორტის ოსტატ ბ. შავერდიანის თავმჯდომარეობით.

პასუხები უნდა გამოიგზავნოს 20 ოქტომბრამდე (საფოსტო შტამპელის მიხედვით) მისამართით: 380096. თბილისი — 96, ლენინის ქ. 14, „ლელოს“ რედაქცია, „საშაშო კონკურსი“. არ დაგავიწყდეთ შეგვატყობინოთ თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი, ბინის მისამართი.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება „ლელოს“ 7 ნოემბრის ნომერში.

### პოზიცია № 1



თეთრები იგებენ

### პოზიცია № 2



თეთრები იგებენ

### პოზიცია № 3



თეთრები იგებენ

### პოზიცია № 4



თეთრები იგებენ

### პოზიცია №5



თეთრები იგებენ

### პოზიცია № 6



სვლა შავებისაა.

შენიშვნა: № 6 დიაგრამაზე მოცემული პოზიციის პირობა ასეთია — როგორი შედეგია მოსალოდნელი? (თქვენი აზრი ვარიანტებით დაასაბუთეთ).

## საგარეჯოელი ეტიუდისტის წარმატება

ჩეხოსლოვაკიის საჭადრაკო ჟურნალი „ჩესკოსლოვენსკი შახი“ ტრადიციულად ყოველ წელს აწყობს თავის ფურცლებზე დაბეჭდილი ამოცანებისა და ეტიუდების კონკურსს.

ამას წინათ (1977 წ. მაისი) ჟურნალმა გამოაქვეყნა 1975 წლის ეტიუდისტთა კონკურსის შედეგები. კონკურსის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა საჭადრაკო კომპოზიციაში გ. ნადარეიშვილმა (თბილისი) I-II პრიზები თანაბარი უფლებით მიაკუთვნა დ. გურგენიძეს (საგარეჯოს რაიონი, სოფ. ჩაილური) და საჭადრაკო კომპოზიციის დიდოსტატ ი. ფრიტზს. III პრიზი ხვდა ფ. კოშს (ორივე — ჩეხოსლოვაკია).

გთავაზობთ საგარეჯოელი ეტიუდისტის **დ. გურგენიძის** პრემირებულ ნაწარმოებს, რომელიც ჟურნალ „ჩესკოსლოვენსკი შახში“ გამოქვეყნდა 1975 წელს. დიაგრამაზე მოცემულ პოზიციაში თეთრები ყაიმს აღწევენ.



ამოხსნა: 1. ეh2+! მფa1 2. ეa5+ მფb1 3. ეb5+ მფc1 4. ეc5+ მფd1 5. ეd5+ მფe1 6. e8ლ+! ლ:e8 7. ეe5+ მფf1 8. ეf5+ მფe1 9. ეe5+ ლ:e5 10. ეe2+ მფf1 11. ეf2+ მფe1 12. ეe2+. ყაიმი. ეტლის აყვანას პატი მოჰყვება.

ჭადრაკი

# ერთიანი ძალით

გორის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი „დილა“ წლების მანძილზე გამოდის საკავშირო ასპარეზზე II ლიგაში და თავის ზონაში მუდამ ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივად ითვლებოდა.

მაგრამ, აი, უკვე მეორე წელია საქმე შეტრიალდა. „დილა“ ის აღარ არის რაც იყო, მნიშვნელოვნად დათმო პოზიციები და გუნდის ქომაგებიც ამის გამო სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ. მართლაც, საწყენია, რომ კოლექტივი, რომელშიც მუდამ გამოდიოდნენ პერსპექტიული, კარგი მონაცემების მქონე ფეხბურთელები, ასე უცბად ჩამოქვეითდა და უღიმღამო თამაშს აჩვენებს მაყურებელს.

სწორედ „დილის“ ამ მდგომარეობას მიეძღვნა თათბირი პარტიის გორის ქალაქკომში, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ინფორმაციით გამოვიდა გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. გაბუნია, რომელმაც დამსწრეთ გააცნო გუნდში შექმნილი მდგომარეობა და გამოთქვა თავისი აზრი, თუ რა არის საჭირო არსებული მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მწვრთნელის აზრი ემთხვევა საქართველოს პროფკავშირთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების მიერ ჩატარებული შემოწმების დასკვნას, რომ ხარვეზებს ერთი და იგივე სათავეები აქვს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „დილაში“ ცუდადაა დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. დაბალ დონეზე მიმდინარეობს საწვრთნელი პროცესი, არადამაკმაყოფილებელი და არასისტემატურია პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. რა მიღწევები შეიძლება ჰქონდეს გუნდს, რომელიც მეცადინეობაზე, როგორც წესი, 8-9 კაცის შემადგენლობით ცხადდება. ან რით უნდა გაიმართლონ თავი გორელმა ფეხბურთელებმა, როცა მათი რიგებიდან 9 კაცს მიეცა გაფრთხილება, ხოლო ლ. ბუძიშვილი მინდვრიდანაც იყო გაძევებული. გუნდის კომკავშირის ორგანიზაციას არც ერთხელ არ განუხილავს სპორტული რეჟიმის დარღვევათა საკითხი, თუმცა დამრღვევთა ვინაობა ყველასათვის ცნობილია (ხანიშვილი, ბუძიშვილი და სხვ).

სერიოზული ხარვეზები იქნა დაშვებული გუნდის ხელმძღვანელობის მხრივ სეზონის მოსამზადებელ პერიოდში, ორგანიზაციულად დაბალ დონეზე იდგა საწვრთნელი პროცესი, არ სრულდებოდა ფეხბურთის სამმართველოს მეთოდური მითითებები.

„დილა“ მოწყვეტილია თავის უშუალო საწარმოო კოლექტივს — ბამბეული ქსოვილების კომბინატს და არც ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობა იჩენდა დიდ დაინტერესებას ფეხბურთელთა მიმართ. გუნდს უშუალოდ უნდა ხელმძღვანელობდეს კომბინატი და არა სტადიონი, ფეხბურთელებს კონკრეტული, მიზანდასახული დახმარება უნდა გაუწიონ კომბინატის პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. მით უმეტეს, რომ კომბინატთან არსებობს სპორტული კლუბი „დილა“.

უკვე მერამდენე წელია არ დაადგა საშველი საწვრთნელ-სავარჯიშო ბაზის მშენებლობას. საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წელს მიიღო დადგენილება მარტივი ტიპის სავარჯიშო ბაზის მოწყობის თაობაზე, მაგრამ მის განხორციელებას არაფერი ეშველა. უამისოდ კი ნორმალური მუშაობის წარმართვა შეუძლებელია.

ამის შესახებ იყო მსჯელობა პარტიის ქალაქკომში გამართულ თათბირზე და, ვფიქრობთ, ეს სტიმულად უნდა იქცეს გორელ ფეხბურთელთათვის დარჩენილ დროში მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი უნარი და შესაძლებლობანი შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. გუნდის ახალმა ხელმძღვანელობამ უფროსი მწვრთნელის გ. გაბუნიას ხელმძღვანელობით უნდა იბრძოლოს საიმისოდ, რათა ქალაქ გორის ფეხბურთელთა გუნდი II ლიგის ზონაში კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო იყოს.

**ნ. ჩხატარაშვილი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

## პირველი ლიგა

**17 სექტემბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები პერმში ეთამაშნენ ადგილობრივ „ზვეზდას“ და დამარცხდნენ ანგარიშით 1:2.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, „დინამო“ (მინსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 5:2, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „თერგი“ (გროზნო) 3:1, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 4:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტ.“ მ. | 29 | 16 | 7 | 6 | 66—39 | 39 |
| „დინ.“ მნ. | 29 | 16 | 7 | 6 | 37—17 | 39 |
| „ფახთაქ.“ | 29 | 14 | 10 | 5 | 39—21 | 38 |
| „კუზბასი“ | 28 | 17 | 2 | 9 | 42—28 | 36 |
| „ტავრია“ | 28 | 14 | 6 | 8 | 39—22 | 34 |
| „პამირი“ | 29 | 14 | 5 | 10 | 41—29 | 33 |
| „შინიკი“ | 29 | 11 | 11 | 7 | 38—28 | 33 |
| „თერგი“ | 29 | 13 | 6 | 10 | 48—36 | 32 |
| „ნისტრუ“ | 28 | 9 | 13 | 6 | 33—30 | 31 |
| „დინ.“ ლ. | 29 | 9 | 11 | 9 | 42—41 | 29 |
| „ურალმაში“ | 28 | 10 | 9 | 9 | 39—42 | 29 |
| „ტორპედო“ | 29 | 10 | 7 | 12 | 28—37 | 27 |
| ასკ როსტ. | 30 | 8 | 10 | 12 | 27—35 | 26 |
| „სპარ.“ ორ. | 29 | 8 | 8 | 13 | 30—37 | 24 |
| „სპარ.“ ი.-ფ. | 28 | 6 | 11 | 11 | 25—39 | 23 |
| „მეტალურ.“ | 28 | 7 | 9 | 12 | 17—31 | 23 |
| „კოლხოზჩი“ | 29 | 8 | 6 | 15 | 28—50 | 22 |
| „რუბინი“ | 28 | 6 | 8 | 14 | 30—50 | 20 |
| „კრივბასი“ | 28 | 7 | 5 | 16 | 32—46 | 19 |
| „ზვეზდა“ | 28 | 3 | 9 | 16 | 21—44 | 15 |

### საქართველოს ზონალური პირველობა

I ზონა. „სანერგე“ (ახალსოფელი) — „იორი“ (თიანეთი) 0:1. ახმეტის „ფიჩხოვანს“ გამარჯვება ჩაეთვალა ველისციხის „კოლმეურნესთან“.

II ზონა. „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ფოლადი“ (რუსთავი) — 2:1.

III ზონა. „სუბტროპიკი“ (წალენჯიხა) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 1:1, „ხაბუმე“ (ჩხოროწყუ) — „სენაკი“ (ცხაკაია) 1:2.

IV ზონა. „ელემენტი“ (ზესტაფონი) — „კოლმეურნე“ (ამბროლაური) 1:2. ვანის „მებოსტნეს“ გამარჯვება ჩაეთვალა ხაშურის „ლოკომოტივთან“.

თანამედროვე ხუთჭიდი

სსრ კავშირის პირველობა

## მოულოდნელობით აღსავსე ტურნირი

რთული სახეობაა თანამედროვე ხუთჭიდი. აქ ყოველთვის არის მოსალოდნელი სიურპრიზი. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი დ. გრიგორი, რომელიც ფარიკაობასა (44-ე ადგილი) და ცხენოსნობაში (41-42) ასპარეზობის შემდეგ 44-ე ადგილზე იყო, შესძლებდა მობილიზებას და შემდეგ დღეებში გაცილებით უკეთესი შედეგების ჩვენებას? დიმიტრი გრიგორმა შეუძლებელი შეძლო, 200 გასროლიდან მხოლოდ ერთხელ „დაუცდა ფეხი“ და 1100 ქულით I-II ადგილები გაიყო ყირგიზელ ა. ტარევთან ერთად. ცურვაში გრიგორმა 1172 ქულით მეექვსე შედეგი აჩვენა, ხოლო მძლეოსნურ კროსში იგი მეათე იყო (1123 ქულა). დიახ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა პირველი ორი დღის შემდეგ საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა და მაინც, ფარიკაობასა და ცხენოსნობაში განცდილმა წარუმატებლობამ თავისი გაიტანა — გრიგორი ხუთჭიდის ჯამში მხოლოდ 30-ე ადგილზე აღმოჩნდა (4778).

თუ გრიგორმა წარუმატებელი სტარტი აიღო, ხოლო შემდეგ ხელი გამოიღო და მაქსიმალურად ცდილობდა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მისი თანაგუნდელი ი. ბრიზგალოვი კი მთელი შეჯიბრების მანძილზე არასტაბილურად ასპარეზობდა, თუმცაღა, საბოლოო ჯამში, უკეთესი შედეგი აჩვენა. ბრიზგალოვმა საფარიკაო ბილიკებზე მე-11-12 ადგილები გაიყო, ცხენოსნობაში მე-19 შედეგი აჩვენა, სროლაში — 45-ე და... I ადგილი ცურვაში. მოსალოდნელი იყო, რომ იგორი ბოლო დღესაც, მძლეოსნურ კროსშიც თავგამოდებით იბრძოლებდა, მაგრამ ასე არ მოხდა — კროსში მან 38-ე ადგილი დაიკავა და საბოლოოდ 4908 ქულით მე-17 ადგილზე გავიდა.

საქართველოს ნაკრების მესამე წევრი, გ. სნიმშჩიკოვიც, ეტყობა, სათანადოდ ვერ მოემზადა ამ დაძაბული შეჯიბრებისთვის. ვერც გასილი გამოვიდა სტაბილურად: ფარიკაობაში 36-38 ადგილები გაიყო, ცხენოსნობაში — 15-18, სროლაში — 21-27, ცურვაში იგი 27-ე იყო, მძლეოსნურ კროსში კი ბოლო, 48-ე ადგილზე აღმოჩნდა. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. სნიმშჩიკოვმა ბოლო დღეს „ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“. მას შემდეგ, რაც გრიგორმა დისტანცია 13 წუთსა და 36 წამში გაირბინა, ხოლო ბრიზგალოვმა 14-სა და 13 წამში, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს შესაძლებლობა მიეცა VII ადგილიდან, რაც მას 4 სახეობის ჯამში ეკავა, რამდენიმე საფეხურით წინ გასულიყო, მაგრამ, როგორც ვნახეთ, სნიმშჩიკოვმა ვერ შეძლო მხარი აება მეგობრებისთვის.

ხუთჭიდის ჯამში საქართველოს ნაკრებს, რომელსაც სროლის (IX-X ადგილები, 2192 ქულა), ცურვისა (I ადგილი, 3476) და მძლეოსნური კროსის (XIII, 2964) შემდეგ 14310 ქულა დაუგროვდა, მე-9 ადგილს დასჯერდა.

ორი დღის შემდეგ, როგორც უკვე ვიტყობინებოდით, რსფსრ-ის პირველი გუნდი ლიდერობდა და მიუხედავად სროლაში (XI ადგილი), ცურვასა (II) და მძლეოსნურ კროსში (IV) პოზიციების დათმობისა, მან საერთო უპირატესობა მაინც შეინარჩუნა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. არც მოსკოვის პირველ გუნდს გაუშვია ხელიდან „თავისი“ მეორე ადგილი და ვერცხლის მედალს დაეუფლა. მესამე იყო ლატვიელთა მეგობრული კოლექტივი. ბალტიისპირელებმა 22 ქულით აჯობეს მოსკოვის მეორე გუნდს.

პირად პირველობაში ხუთჭიდის ჯამში 5235 ქულით ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ბორის ნიკიტინმა იმარჯვა, რომელმაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა. გამარჯვებულს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა სპორტის ოსტატი ვასილი ნეფედოვი (მოსკოვი II). III ადგილზეა ყირგიზეთის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ალექსანდრე ტარევი — 5224 ქულა.

**დ. გურული.**

### ტექნიკური შედეგები

**სროლა.** 1. ყაზახეთი — 3154 ქულა, 2. უკრაინა II — 3110, 3-4. ლიტვა, ლატვია — 3066-3066... 9-10. საქართველო — ყირგიზეთი — 2912-2912.

**ცურვა.** 1. საქართველო — 3476, 2. რსფსრ I — 3464, 3. ბელორუსია — 3392.

**მძლეოსნური კროსი.** 1. ყირგიზეთი — 3450, 2. ლენინგრადი — 3354, 3. მოსკოვი II — 3270... 13. საქართველო — 2964.

**ხუთჭიდის ჯამი.** 1. რსფსრ I — 15327, 2. მოსკოვი I — 15125, 3. ლატვია — 14914... 9. საქართველო — 14310.

## კომბინატის ავტოდრომზე

**ამას წინათ** ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატის ავტოდრომზე გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ავტომრავალჭიდელთა პირადგუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქის 7 ფიზკულტურის კოლექტივის 38 სპორტსმენი.

მსუბუქი ავტომანქანებით ასპარეზობაში გუნდური პირველობა არავის დაუთმო შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო განყოფილების ავტოინსპექციის ნაკრებმა, რომელმაც 88 საჯარიმო ქულა მიიღო. 89 საჯარიმო ქულით მეორე იყო № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს გუნდი, ხოლო მესამე — მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს ნაკრები (140 ქ.).

პირად პირველობაში ჩემპიონობა მოიპოვა ნ. ქითანავამ (№ 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო).

**ზ. ალშიბაია.**
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

# წინ მსოფლიო ჩემპიონატია

**მინსკი.** სსრ კავშირის ჩემპიონმა მხატვრულ ტანვარჯიშში, კიეველმა ი. დერიუგინამ მრავალჭიდში სსრ კავშირის თასი მოიპოვა და თავის სპორტულ კოლექციას კიდევ სამი ოქროს მედალი შემატა. თასის გათამაშებაში ირინა საუკეთესო იყო ლენტით (19,55 ქულა), ბურთით (19,7) და სახტუნელათი (19,35) ვარჯიშისას. ომსკელმა გალიმა შუგუროვამ ბრწყინვალედ შეასრულა კომპოზიცია რგოლით — 19,75.

გუნდური პირველობა არავის დაუთმო ბელორუსიის ნაკრებმა.

საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ოქტომბერში შვეიცარიაში გაიმართება.

**სურათზე: ი. დერიუგინა.**
**ა. საკოვის ფოტო.**

## ერევანში — ოქრო, ნოგინსკში — ბრინჯაო

**კვირას** ერევანში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო პირველობა სატრეკო ველორბოლაში. ადგილიდან 500 მეტრზე გიტში საუცხოოდ იასპარეზა თბილისელმა ე. გელაშვილმა (განათლების სამინისტრო), რომელმაც 35,55 აჩვენა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ამ შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე კი თბილისელმა არმიელებმა ო. [illegible] და ა. კავსაძემ სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ნოგინსკში გამართულ სალიდერო რბოლაში.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბავი

### 1973 წლის 24 მარტიდან

რა საოცარი რეკორდები არ მყარდება ფეხბურთში! მაგალითად, საფრანგეთის ექს-ჩემპიონმა „სენტ-ეტიენმა“ ისე ჩაატარა 100 მატჩი (საფრანგეთის ჩემპიონატში და ევროპულ ტურნირებში) საკუთარ მინდორზე, რომ ერთხელაც არ წაუგია.

როგორც სტატისტიკოსები იუწყებიან „მწვანეები“ (ასე ეძახიან „სენტ-ეტიენის“ ფეხბურთელებს ფორმის ფერის გამო) უკანასკნელად საკუთარ მინდორზე დამარცხდნენ... 1973 წლის 24 მარტს!

### ისევ სტაილსი

ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი სტაილსი, რომელიც თავის დროზე ცნობილი იყო თავდადებული, მაგრამ ზომაზე მეტად ცხარე და უხეში თამაშითაც კი, ახლა მწვრთნელია.

ამას წინათ იგი სათავეში ჩაუდგა ცნობილ კლუბ „პრესტონ ნორს ენდს“.

### დატვირთვაც ამას ჰქვია!

გამოჩენილმა ნახევარმცველმა ჯაილსმა დატოვა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ და ირლანდიაში დაბრუნდა. მან განაცხადა, რომ კვლავ რჩება ირლანდიის ნაკრების მწვრთნელად და მოთამაშედ. ამავე დროს ჯაილსი სათავეში ჩაუდგა ირლანდიის პირველი ლიგის კლუბ „კორკ სელტიკს“, სადაც არა მარტო მწვრთნელი, არამედ მოთამაშეც იქნება.

ორი გუნდის მწვრთნელი და ორი გუნდის მოთამაშე — ასეთ რამეს იშვიათად შეხვდებით ფეხბურთის ისტორიაში.

### დუკე ალარ ითამაშებს

როგორც ბერლინის „ფუ-ვო“ იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების ცნობილმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა პ. დუკემ გადაწყვიტა ასაკის გამო თავი დაანებოს თამაშს. იგი წლების განმავლობაში შეუცვლელად გამოდიოდა ამ გუნდში და ევროპაშიც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა.

### კრუიფი მკურნალობს

კრუიფი ახლა მკურნალობს და პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ტრავმის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს ესპანეთის პირველობის პირველ 4 ტურში. გარდა ამისა, კრუიფი გამოტოვებს უეფა-ს თასის პირველ მატჩსაც ბუქარესტის „სტიაუას“ წინააღმდეგ.

### ჯაიჩის დაბრუნება

როგორც იუგოსლავიის სპორტული პრესა იუწყება, განთქმულმა თავდამსხმელმა ჯაიჩმა დატოვა საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბი „ბასტია“ და ისევ თავის ძველ გუნდს „ცრვენა ზვეზდას“ დაუბრუნდა. საინტერესოა, რომ ბელგრადის ამ კლუბის შემადგენლობაში ჯაიჩმა ჩაატარა 281 მატჩი, სადაც 108 ბურთი გაიტანა.

იუგოსლავიის ნაკრებში ჯაიჩმა 83-ჯერ ითამაშა, მეტჯერ, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ფეხბურთელმა ამ ქვეყნის არსებობის მანძილზე. აქ მას 23 ბურთი აქვს გატანილი. უეფა-ს და ფიფა-ს ნაკრებებში იუგოსლაველმა თავდამსხმელმა 5-ჯერ ითამაშა, იმდენჯერვე, რამდენიც იაშინმა, ბეკენბაუერმა, ფაკეტიმ და შნელინგერმა.

## ქალი — კალათბურთის მსაჯი

**კალიფორნიის** პოლიტექნიკური კოლეჯის კალათბურთის მასწავლებელი დოლინ მეი სპორტის ისტორიაში შევიდა, როგორც სპორტის ამ სახეობის შეჯიბრებების პირველი არბიტრი-ქალი. წლეულს მან სოფიის უნივერსიადაში იმსაჯა.

აი, მისი პასუხები საკდესის კორესპონდენტის შეკითხვებზე:

**— როგორ გახდით არბიტრი?**

— ოთხი წელი ვთამაშობდი კალათბურთს, მართალია არცთუ ოსტატურად. მაგრამ მაინც მივიღე სპეციალური მომზადება. ახლა კი სხვებს ვასწავლი და მატჩებსაც ვმსაჯობ. ორი წლის წინ საერთაშორისო არბიტრის წოდება მომანიჭეს და ჩემი გვარი კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ნუსხაში შეიტანეს.

**— ღელავდით პირველი შეხვედრის მსაჯობისას?**

— ბულგარელ კოლეგა ივანე სავოვს და მე არ გაგვძნელებია უნივერსიადაზე იუგოსლავიისა და დანიის ქალთა გუნდების მატჩის მსაჯობა და კარგი შეფასებაც დავიმსახურეთ.

**— რა აზრისა ხართ ქალთა საკალათბურთო ტურნირის შესახებ?**

— მე უპირატესობას თავიდანვე ვანიჭებდი საბჭოთა გუნდს, რომელსაც აქვს მაღალი ტექნიკა და თამაშების ორგანიზაცია. მომწონს იუგოსლავიის, აშშ-ის, ჩეხოსლოვაკიის, კუბისა და ბულგარეთის ქალთა ნაკრები გუნდები.

**— ჩვენ ბევრი რამ ვიცით აშშ-ის ვაჟთა კალათბურთზე. რამდენიმე სიტყვით ხომ ვერ გვეტყვით ქალთა კალათბურთის შესახებ?**

— ოლიმპიურ პროგრამაში შეტანის შემდეგ აშშ-ში დიდი ყურადღება ექცევა ქალთა კალათბურთს. კალიფორნიის კოლეჯში გოგონები ყოველდღიურად 2 საათს ვარჯიშობენ, კვირაში სამჯერ კი მატჩებს აწყობენ. ვფიქრობ, მალე „ვაჟთა“ დონეს მივაღწევთ. (საკდესი).

სოფია.

# უმაღლესი ინტერესით ნაკარნახევი

სოკ-ი თავად იღებს პასუხისმგებლობას ყველა ამ წინააღმდეგობებზე, იმდენად, რამდენადაც ოლიმპიური წესებიდან გამომდინარე, სოკ-ი არის ორგანო, რომელიც საბოლოო ჯამში წყვეტს ოლიმპიური თამაშების პროგრამების საკითხს.

მით უმეტეს, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ფედერაციებმაც შეასრულეს გარკვეული როლი ოლიმპიური პროგრამების სტაბილურობის დარღვევის საკითხში. მძლეოსნობის 37 სახეობიდან 16 (რომელიც ახლაცაა შეტანილი) პროგრამაში ოლიმპიური თამაშების დაწესების დღიდანვე შევიდა. ზუსტად ასევე, 1920 წლიდან არ შეცვლილა ნიჩბოსან ვაჟთა პროგრამა.

სტაბილურობა შეიმჩნევა, აგრეთვე, ფარიკაობაშიც. ცურვაში კი მნიშვნელოვან ცვლილებებს ვხედავთ. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ეს სახეობაც პირველი ოლიმპიადიდან მოდის.

ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ახლა ხშირად ლაპარაკობენ პროგრამის გიგანტიზმზე. თუმცა ეს გამოთქმა „ოლიმპიური ლექსიკონიდან“ ამოიშალა 1973 წელს ვარნის კონგრესზე.

ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე მიღებულმა გამოცდილებამ და საზოგადოებრივმა აზრმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აიძულა პრინციპულად განეხილა პროგრამის საკითხი. 1968 წელს შეიქმნა სოკ-ის წევრებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მოდერნიზაციის მიზნით უნდა გადაესინჯა არსებული პროგრამა.

1968 წლიდან მოყოლებული კომისია მუდმივად მუშაობდა და შესწორებები შეჰქონდა მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. სოკ-ის, საერთაშორისო ფედერაციების, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და ორგანიზაციების ინტერესების გათვალისწინებით მან წამოაყენა წინადადება, რომლის მიხედვით პროგრამაში უნდა შევიდეს მხოლოდ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სპორტის სახეობა, მიუხედავად იმისა, იგი ინდივიდუალურია თუ გუნდური.

გამოითქვა აზრი შეჯიბრებათა რაოდენობის დისპროპორციის სალიკვიდაციოდ, მაგალითად, გუნდების რაოდენობა ფინალებში უნდა შემცირდეს 16-დან 12-მდე (ფეხბურთის გარდა). ლაპარაკი იყო სათადარიგო მოთამაშეთა რიცხვის შეკვეცაზე. კომისიის თითქმის ყველა წინადადება მიღებულ იქნა.

სოკ-ის და საპროგრამო კომისიის საქმიანობა მხოლოდ ამით როდი ამოიწურება. პრეზიდენტმა ლორდ კილანინმა 1974 წელს ვენაში სოკ-ის სესსიაზე აღნიშნა ოლიმპიური პროგრამის შეცვლის აუცილებლობა.

კილანინმა დამსწრეთ შეახსენა 1973 წელს ვარნის კონგრესზე ოლიმპიურ თამაშებთან და პროგრამებთან დაკავშირებით წამოჭრილი კამათის შესახებ. შეტანილ იქნა კონკრეტული წინადადებები, იმაზე, რომ საბერძნეთი გამხდარიყო ოლიმპიადების ჩატარების მუდმივი ადგილი, რომ ოლიმპიური თამაშები მომავალში მოეწყო რამდენიმე ქვეყანას, ან ერთ გეოგრაფიულ რაიონს. ერთ-ერთი წინადადების მიხედვით, ოლიმპიადა სოკ-ის მიერ დასახელებულ ოლიმპიურ ქალაქთან ერთად ერთი ქვეყნის რამდენიმე ქალაქში უნდა ჩატარებულიყო.

საპროგრამო კომისიას მიაჩნია, რომ მომავალში ოლიმპიური თამაშები უნდა გაიმართოს ერთდროულად, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სპორტის სხვადასხვა სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატების სერიას დაემსგავსება.

პირადად კილანინისა და ვარნის კონგრესის თხოვნით საპროგრამო კომისიამ შეიმუშავა მომავალ ოლიმპიურ თამაშებში შეჯიბრებათა კონცეპციის კრიტერიუმი. აი, მისი ძირითადი პრინციპები:

ა) სპორტის სახეობა ფართოდ უნდა იყოს გავრცელებული მსოფლიოში.

ბ) ოლიმპიურმა პროგრამამ გავლენა უნდა იქონიოს საერთაშორისო სპორტზე, ტრადიციული სახეობებისთვის კი გამოყოს ადგილი, როგორც გამონაკლისი.

გ) საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ, რომლის სახეობაც შედის ოლიმპიურ პროგრამაში, პატივი უნდა სცეს სოკ-ის შესაბამის წესებს.

დ) მხოლოდ საუკეთესო სპორტსმენებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში, რისთვისაც საჭიროა მოეწყოს შერჩევა და დადგინდეს შესაბამისი სტანდარტები.

ე) სპორტის სახეობებმა და შეჯიბრებათა პროგრამებმა არ უნდა დაამძიმოს ოლიმპიადის ორგანიზატორთა ფინანსური მდგომარეობა, ნაგებობები ოლიმპიადის შემდეგაც იქნეს გამოყენებული.

ვ) სპორტის სახეობების მიხედვით შეჯიბრებები და მათი პროგრამა მაქსიმალურად სტაბილური უნდა იყოს. გამორიცხულია ზოგიერთი სახეობის ექსპერიმენტი და „გასინჯვა“.

ზ) აუცილებლად მიღწეულ უნდა იყოს გარკვეული თანაფარდობა შეჯიბრების შიგნით სპორტის სხვადასხვა სახეობაში. რომელიმე სახეობის შეჯიბრებათა რიცხვი არ უნდა გადიდდეს სხვა სახეობის საზიანოდ.

სოკ-ის საპროგრამო კომისიამ საერთაშორისო ფედერაციების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად განიხილა ძირითადი პრინციპები. შემუშავებული კრიტერიუმებისა (ისინი შეტანილია ოლიმპიური წესების წიგნში) და საერთაშორისო ფედერაციებისგან მიღებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაკეთდა ზუსტი ანალიზი. კომისია წარადგენს პროგრამის შედგენის გრძელვადიან გეგმას სოკ-ის სესიაზე, არაუგვიანეს 1978 წლის მაისისა, როცა გადაწყდება საკითხი, თუ სად უნდა ჩატარდეს 1984 წლის ოლიმპიური თამაშები. ასე, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებს ეცოდინებათ პროგრამა, რომელიც აღარ შეიცვლება. ასეა ნათქვამი ოლიმპიური წესის 33-ე მუხლში.

ყველა დაინტერესებული მხარე არ იქნება ალბათ კმაყოფილი სოკ-ის გადაწყვეტილებით, უპირველესად კი ისინი, ვისაც პროგრამების რადიკალური შემცირება სურდა. შეცვლილი პროგრამები ოლიმპიური მოძრაობის, განსაკუთრებით ოლიმპიური თამაშების წარმატების დამადასტურებელია. ამიტომ საჭირო არ არის ოლიმპიური პროგრამის ძლიერი შეკვეცა.

მტკიცე საპროგრამო პოლიტიკა განამტკიცებს სოკ-ის პოზიციებს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ფედერაციების მონაწილეებისა და ორგანიზატორების მუშაობას, კიდევ უფრო გააღრმავებს ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიური თამაშებისადმი პატივისცემის გრძნობას. ეს კი ყველა ინტერესებზე უფრო მაღლა დგას.

---

დასასრული. იხ. „ლელო“ № 182.

### კოეფიციენტების ცხრილით

სინაიში (რუმინეთი) დამთავრდა ქალთა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც დიდოსტატი ივანკა (უნგრეთი) და 13 ოსტატი მონაწილეობდა.

13 თამაშიდან 9-9 ქულა მოაგროვეს ფოისტელმა (გდრ), პოლიქრონიადემ (რუმინეთი) და სემიონოვამ (სსრ კავშირი). კოეფიციენტების ცხრილში საუკეთესო მაჩვენებლების მიხედვით პირველი პრიზი გერმანელ მოჭადრაკეს მიენიჭა. II ადგილი ხვდა პოლიქრონიადეს, III — სემიონოვას. დიდოსტატი ივანკა 6,5 ქულით VII ადგილს დასჯერდა.

## კიდევ ერთი მსხვერპლი

**ლონდონი, 17 სექტემბერი.** ავტო და მოტომრბოლელთა შორის ავბედითად ცნობილ ინგლისის კუნძულ მენის ტრასაზე დაიღუპა დიდბრიტანელი სპორტსმენი ნილ ელვარდსი. მრბოლელი ძნელ ტრასაზე დაეცა და ისე გარდაიცვალა, რომ გონზე არ მოსულა.

ეს, კუნძულ მენზე გამართულ პროფესიონალთა რბოლების 116-ე მსხვერპლია. პირველი შეჯიბრებები ამ ტრასაზე 70 წლის წინ — 1907 წელს მოეწყო. ვინ მოთვლის რამდენი სპორტსმენი დაზარალებულა აქ... (საკდესი).

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71; 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07899